



ადმონსავლეთის ჰარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 28 იანვარი, 2013 წელი

დრო: 16:00 - 17: 30 საათი

შეხვედრის ადგილი: ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ალექსანდა კალატოზიშვილი - ფონდი "სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი" (თანაკოორდინატორი)
2. ნათია აბრამია - ჯანმრთელი სამყარო (თანაკოორდინატორი)
3. ახალგაზრდული ალტერნატივა - ნუკრი ყველაშვილი
4. „კავკასიური მოზაიკა“ - ნაირა ბეჰიევი
5. ახალგაზრდული ასოციაცია "დრონი" - გიორგი კიკალიშვილი
6. მეწარმე ქალთა ფონდი - მერი გელაშვილი
7. საერთო სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო" - ლიზი ზურიკაშვილი
8. საქართველოს გაეროს ასოციაცია - ლაშა ჯუღელი
9. კოალიცია შინმოვლა საქართველო - უჩა ვახანია
10. გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი - ნატო ბაჩიაშვილი
11. კოალიცია დევნილთა უფლებებისათვის - ზურაბ ბენდიაშვილი
12. იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხობა" - ივანე ხარაშვილი

განსახილველი საკითხები

1. ევროინტეგრაციის კომუნიკაციისა და ინფორმაციის სტრატეგია;
2. ეროვნული პლატფორმის მეოთხე სამუშაო ჯგუფის პრიორიტეტული მიმართულებები და 2013 წლის სამოქმედო გეგმა;

3. ევროკავშირის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსები და ერთობლივი პროექტების ინიციატივების განხილვა;
4. თემატური ქვეჯგუფების მუშაობა და საქმიანობის კოორდინაცია;
5. წესდებაზე მომუშავე კომისიის ფორმირება და კანდიდატების შერჩევა.

შეხვედრა გახსნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და დამსწრეებს წარუდგინა მათთვის წინასწარ გაგზავნილი დღის წესრიგი. წევრებმა პირველ საკითხად განიხილეს მეოთხე სამუშაო ჯგუფის პრიორიტეტული მიმართულებები და 2013 წლის სამოქმედო გეგმა. თანაკოორდინატორის ინფორმაციით ჯგუფის სამოქმედო გეგმა უნდა მომზადდეს მომდევნო ორი კვირის განმავლობაში, რადგან 15 თებერვალს დოკუმენტის საბოლოო ვერსია უნდა გადაეგზავნოს პლატფორმის სამდივნოს. თანაკოორდინატორის თქმით, რამდენადაც სამოქმედო გეგმაში გაწერილი უნდა იყოს მომდევნო ერთი წლის განმავლობაში ჯგუფის მუშაობის ძირითადი მიმართულებები და პრინციპები, მნიშვნელოვანია თითოეულმა წევრმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს დოკუმენტის შემუშავების პროცესში. ჯგუფის წევრი ორგანიზაციების პროფილების გაცნობის მიზნით, დამსწრეება მოკლედ წარმოადგინეს თავიანთი ორგანიზაციების ძირითადი ამოცანები და საქმიანობის მიმართულებები. თანაკოორდინატორის აზრით, მაქსიმალური შედეგის მისაღწევად აუცილებელია, გეგმაში გათვალისწინებული იყოს ყველა ორგანიზაციის ინტერესი.

მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ ჯგუფის თანაკოორდინატორები მოამზადებენ გეგმის სამუშაო ვერსიას, რომელიც უახლოეს დღეებში დაიგზავნება ქსელში შემდგომი შენიშვნებისა და კომენტარებისათვის. დამსწრეები შეთანხმდნენ ასევე, რომ დოკუმენტის დროულად მოსამზადებლად, ჯგუფს კომენტარებისათვის ექნება ერთკვირიანი ვადა.

ამის შემდეგ თანაკოორდინატორმა დამსწრეებს აცნობა, რომ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით დაიწყო მუშაობა ევროინტეგრაციის კომუნიკაციისა და ინფორმაციის სტრატეგიაზე. დოკუმენტის მიზანია საქართველოს მოსახლეობის ინფორმირება ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებულ შესაძლებლობებსა და ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებებზე. მსგავსი სტრატეგია უკვე აქვთ მოლდოვასა და ესტონეთს. ფონდმა "ღია საზოგადოება - საქართველო" უკვე მოამზადა დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელიც თანაკოორდინატორების ინფორმაციით შენიშვნებისა და კომენტარებისათვის უახლოეს დღეებში დაიგზავნება ჯგუფში.

თანაკოორდინატორებმა დამსწრეებს მიაწოდეს ინფორმაცია ევროკავშირის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსების შესახებ და ასევე გააცნეს ინიციატივა ერთობლივი საპროექტო განაცხადის მომზადების თაობაზე. განაცხადების შეტანის ბოლო ვადა არის 1 მარტი. პროექტის მიზანია კონფლიქტის მოსაზღვრე რეგიონებში, შიდა ქართლსა და სამეგრელოში, ქალთა შესაძლებლობების გაძლიერება, რათა შემდგომ სახალხო დიპლომატიის გზით მათ უკეთ წარმართონ თავიანთი სამოქალაქო საქმიანობა. ეს ხელს შეუწყობს ნდობის აღდგენას, ურთიერთობების წახალისებასა და ერთობლივი ღონისძიებები განხორციელებას

კონფლიქტის ზონებსა და მის მოსაზღვრე რეგიონებში მცხოვრებ ქალებს შორის. პროექტის მთავარ მიზნობრივი ჯგუფს წარმოადგენენ აქტიური ქალები სხვადასხვა სფეროდან. პროექტი გულისხმობს სახალხო დიპლომატიის სფეროში ქალების (თითო რეგიონიდან 40 ქალი) როგორც უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებას, ასევე მათ ინსტიტუციონალურ გაძლიერებას (მაგ. ტრენინგები ადამინური რესურსების მართვასა თუ ფონდების მოძიებაში). პროექტის ფარგლებში ჩატარდება არსებული სიტუაციის კვლევა და ანალიზი, რის საფუძველზეც შემდეგომი კომუნიკაციის მიზნით, მოხდება ქალებისათვის საინტერესო სფეროების გამოვლენა; თბილისში გაიმართება შეხვედრები ანალიტიკური ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან.

მსჯელობის შემდეგ დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ დაინტერესებული ორგანიზაციები პირადად დაუკავშირდებიან ჯგუფის თანაკოორდინატორებს და გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებასა და ხედვას პროექტთან მიმართებაში.

ჯგუფის წევრებმა შემდეგ საკითხად განიხილეს თემატური ქვეჯგუფების მუშაობა და საქმიანობის კოორდინაცია. მეოთხე ჯგუფის ფარგლებში შექმნილია კონფლიქტის ქვეჯგუფი. ჯგუფის თანაკოორდინატორების აზრით, საჭიროა ქვეჯგუფის წევრი ორგანიზაციებიდან შეირჩეს თანაკოორდინატორი, რომელიც უხელმძღვანელებს და გააქტიურებს ქვეჯგუფის მუშაობას. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ სასურველი კანდიდატის დასახელება მოხდება ელექტრონულად.

ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს ასევე წესდებაზე მომუშავე კომისიის ფორმირებისა და კანდიდატების შერჩევის საკითხზე. თანაკოორდინატორის ინფორმაციით, კომისია უნდა შედგებოდეს თითო ჯგუფიდან ორი წარმომადგენლისაგან. შეხვედრაზე ქვორუმის არარსებობის გამო გადაწყდა, რომ სასურველი კანდიდატების დასახელება და არჩევა მოხდება ელექტრონულად.

შეხვედრის ბოლოს თანაკოორდინატორმა აღნიშნა, რომ სასურველია ჯგუფში ვრცელდებოდეს ინფორმაცია წევრების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე, რათა მსურველებმა შეძლონ მონაწილეობის მიღება. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ ეს ხელს შეუწყობს ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაციის წახალისებას.

საათნახევრიანი განხილვის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია